ბექა კვაჭაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
beka.kvachadze@tsu.ge

ფრიდრიხ VI შვაბიელისა და სხვა მონარქთა ვაჟების თამარზე დაქორწინების საკითხის კრიტიკული გააზრებისათვის

XII საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც საქართველოს სამეფო ტახტი, ქალმა მმართველმა, თამარმა (1184-1210) დაიკავა, მასზე დაქორწინების სურვილი გამოთქვა არაერთი მეზობელი სახელმწიფოს მმართველი დინასტიის წარმომადგენელმა. ქართველი ისტორიკოსებისა და ისტორიით დაინტერესებული საზოგადოების ნაწილისათვის ცნობილია ერთი მოსაზრების შესახებ, რომ თამარის პოტენციურ მეუღლედ განიხილებოდა ასევე რომის საღვთო იმპერიის მმართველის, ფრიდრიხ I ბარბაროსას (1152-1190) ერთ-ერთი ვაჟიც. ეს ჰიპოთეზა ქართულ და უცხოურ სამეცნიერო წრეებს გააცნო ავტორიტეტულმა მეცნიერმა გივი ჟორდანიამ.

გ. ჟორდანიამ ეს მოსაზრება ქართველ მკითხველს წარუდგინა სტატიით, რომელიც გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში" გამოაქვეყნა 1976 წელს.[1] აღნიშნული სტატია სამეცნიერო-პოპულარული ფორმითა და შინაარსით იყო წარმოდგენილი, სამეცნიერო აპარატისა და დამოწმებული ლიტერატურის გარეშე. 4 წლის შემდეგ პროფ. ჟორდანიამ იმავე შინაარსის სტატია, ოღონდ სამეცნიერო აპარატის დამატებით, გამოაქვეყნა გერმანულ ენაზე, ჟურნალ "გეორგიკაში".[2] რითიც აღნიშნული ჰიპოთეზა ცნობილი გახდა საქართველოს ისტორიით დაინტერესებული უცხოური აუდიტორიისთვისაც.

აღნიშნულ სტატიებში ავტორმა მკითხველს შესთავაზა ორიგინალური მსჯელობა. მან ქართულ წყაროში დაცული

[1] Jordania, *vin iyvnen mefeni hromTani?* gv. 4.
[2] Shordania, *Über die Könige der Römer*, gv. 51-54.

ინფორმაციის ანალიზისა და XII საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების განხილვის შეჯერების შედეგად, ჩამოაყალიბა ჰიპოთეზა, რომელიც მომავალში ქართული სამეცნიერო წრეების ძირითადმა ნაწილმა გაიზიარა.

ავტორმა ყურადღება გაამახვილა თამარის ისტორიკოსის თხზულებაში დაცულ ორ ცნობაზე, რომელზე დაყრდნობითაც შემდეგი მსჯელობა წარმოადგინა. ქრონიკაში, რომელსაც "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" სახელით ვიცნობთ, დაცულია ინფორმაცია, რომ მეფე გიორგი III-ს "სძღუნობდეს და სძმობდეს მას მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალემანთანი, და ჰრომთანი"[3] იმავე ქრონიკაში, სადაც საუბარია თამარის ქმრობის მსურველებზე, გვხვდება მონაკვეთი: "მოყმენი, შვილნი ხელმწიფეთანი – ბერძენთა და ჰრომთანი, სულტანთა და სკKთთანი, სპარსთა და ოსთანი".[4] გ. ჟორდანია ამ ორი მონაკვეთის განხილვისას ავითარებს აზრს, რომ "მეფენი ჰრომთანის" უკან რომის საღვთო იმპერიის მმართველი ფრიდრიხ I ბარბაროსა იგულისხმება.[5] ავტორის აზრით, პირველი მონაკვეთი ცხადჰყოფს იმ ფაქტს, რომ ფრიდრიხ I ბარბაროსა ცდილობდა გიორგი III-სთან დაახლოებას, ხოლო მეორე მონაკვეთში თამარის ცოლობის მსურველი "ჰრომთა მეფის" შვილის უკან რომის საღვთო იმპერიის მმართველის რომელიმე ვაჟი უნდა იგულისხმებოდეს.[6] აღნიშნულ წყაროებს და ინტერპრეტაციებს ქვემოთ დეტალურად მივუბრუნდებით, მანამდე კი, ჩვენი მიზანია ქართულ წყაროში ნახსენები სხვა კანდიტატების ვინაობის შესახებ არსებული ვარაუდების განხილვა და რამდენიმე საკითხის დაზუსტება. ასევე დასახელებულ სტატიებში გ. ჟორდანიას მიერ მოყვანილი არგუმენტების კრიტიკული განხილვა.

თამარის ქორწინების საკითხი, ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ორჯერ დადგა ქართული სამეფოს დღის წესრიგში და მისი მეუღლეების ვინაობა და წარმომავლობა ცნობილია. თუმცა ქართული წყარო ასახელებს არაერთი უცხო სახელმწიფოს მმართველი დინასტიის წარმომადგენელს, რომელსაც ჰქონდა სურვილი ქართველ მეფეზე დაქორწინებულიყო. სანამ სტატიაში დასმულ მთავარ პრობლემას მივადგებით, საკმარისია თუ არა

---

[3] *istoriani da azmani SaravandedTani*, gv. 22-23.
[4] iqve, gv. 46.
[5] Shordania, *Über die Könige der Römer,* gv. 51-52. Jordania, *vin iyvnen mefeni hromTani?* gv. 4.
[6] iqve, gv. 53.

ქართულ წყაროში მოცემული ინფორმაცია იმის სამტკიცებლად, რომ თამარის ხელის მთხოვნელი ფრიდრიხ I ბარბაროსას ვაჟიც იყო, უნდა ვისაუბროთ წყაროში დასახელებულ ქმრობის დანარჩენ კანდიდატებზე, ზოგიერთი მათგანის ვინაობის დაზუსტებაც, შესაძლებელი გახდა დამოუკიდებელი წყაროებისა და ლიტერატურის დახმარებითაც.

1. ქართულ წყაროში ნახსენები, თამარზე დაქორწინების მსურველთა იდენტიფიკაციის საკითხი

მონარქიულ სახელმწიფოებში დინასტიურ ქორწინებას, დიდი პოლიტიკური და დიპლომატიური მნიშვნელობა ჰქონდა. საქორწინო ალიანსები, იგივე მატრიმონიალური კავშირები, დიპლომატიის წარმოების მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო. სამეფო დინასტიებს შორის ქორწინებას რამდენიმე მიზანი ჰქონდა: მემკვიდრეობის უზრუნველყოფა, ქონებისა და ფინანსური მოგების სარგებლის მიღება, პოლიტიკური გავლენების გაფართოვება, საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლება, მზარდი საერთო საფრთხის დაბალანსება და ყოფილ მტერთან მომავალი მშვიდობის უზრუნველყოფა.[7]

თამარზე დაქორწინების მსურველთა შორის, რომელთაც ქართული წყარო ჩამოთვლის, ნახსენებია ბერძენი კანდიდატიც. ბერძენი, ანუ ბიზანტიელი უფლისწული, იდენტიფიცირებულია, როგორც ალექსი კომნენოსი. თუმცა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ისტორიოგრაფიაში მისმა ვინაობამ, ამ პერიოდში კომნენოსთა დინასტიაში ბევრი ალექსი კომნენოსი იყო. იმისთვის რომ ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობამ დაბნეულობა არ გამოიწვიოს, აუცილებლად მიგვაჩნია კომნენოსთა დინასტიური ხაზის წარმოდგენა:



[7] Watkins, *Ma*



როინ მეტრეველი მიიჩნევს, რომ თამარის ხელის მთხოვნელი ალექსი კომნენოსი იყო, იმპერატორ მანუელ I-ის უფროსი ვაჟი ალექსი. მეტრეველი წერს: "ამგვარად მეფე თამარს ხელს სთხოვდა მანუელ I-ის უფროსი ვაჟი, ეს იყო მისი უკანონო შვილი ალექსი".[8] ავტორიტეტული მეცნიერი პიტერ ჰალფტერი თავის ვრცელ სტატიაში, განიხილავს ამ აზრს, რომ – "ერთ-ერთი მათგანია იმპერატორ მანუელ I-ის უფროსი (არაკანონიერი) შვილი".[9] ამ შემთხვევაში, ორივე მათგანი ეყრდნობა "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" – ერთ ფრაგმენტს: "რამეთუ ბერძენთა მეფისა მანოელისა შვილი უხუცესი იყო გაჭრითა და გახელებით, არათუმცა ანდრონიკეს, ჟამსა მის მეფობისასა და მისგან ბერძენთა ამოწყუედისასა, შეეპყრა და განეპატიჟა იგი".[10]

გარდა ზემოთ დასახელებული კანდიდატისა, მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ თამარზე დაქორწინების რეალური კანდიდატი იყო არა მანუელ I-ის ვაჟი, არამედ ანდრონიკოს I-ის ვაჟი ალექსი. აღნიშნული თეორია წამოაყენა მარი ბროსემ "სურდათ ქმრად შეეთავაზებინათ ალექსი, მისი ახლო ნათესავი, ბერძენთა იმპერატორის მამის ძმისშვილი, რომელიც იმხანად საქართველოში იმყოფებოდა".[11] იმავე აზრს ავითარებს კირილ თუმანოვიც – "ალექსი, ანდრონიკეს

[8] mMetreveli, *mefe Tamari*, gv. 158.
[9] Halfter, *Die Staufer und Georgien,* gv. 398. Halfter, *Von den Kreuzfahrerstaaten in das Königreich Georgien,* gv. 420. Sen. 66.
[10] *istoriani da azmani SaravandedTani*, gv. 42.
[11] Brosset, *Histoire de la Géorgie. Depuis L`antiquité jusqu`au XIX siècle,* gv. 412-413.

ღვიძლი შვილი და ჩვენი ალექსის (იგულისხმება ტრაპიზონის პირველი იმპერატორი) ბიძა, რომელიც ზოგიერთებს სურდათ, რომ დაექორწინებინათ თამარზე".[12] ბროსეზე დაყრდნობით ამ აზრს იზიარებს არაერთი ქართველი და უცხოელი ავტორიც, მაგალითად, იგივე პ. ჰალფტერი უყურადღებოდ არ ტოვებს ამ მოსაზრებასაც და წერს, რომ "იყო კიდევ ერთი უფლისწული აღმოსავლეთ რომის იმპერიიდან ასევე სახელად ალექსი, რომელიც ქართველი თავადაზნაურობის გარკვეულმა წრეებმა შესაძლოა შესთავაზეს ქმრად თამარს".[13]

მაინც რომელი ჰიპოთეზაა უფრო მართებული? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად პირველწყაროს უნდა მივუბრუნდეთ, რადგან ამ საკითხზე ინფორმაციას მხოლოდ ქართული წყარო გვაწვდის. "ისტორიანი და აზმანის" სხვადასხვა მონაკვეთებს ეყრდნობიან ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერები, ჩვენ უნდა შევაჯეროთ წყაროს მონაკვეთებში დაცული ცნობები და მხოლოდ ამის შემდეგ ვიმსჯელოთ რომელი ალექსი კომნენოსი შეიძლებოდა ყოფილიყო, თამარის ხელის მთხოვნელი.

ალექსი მანუელის ძის კანდიდატურის მომხრეები ეყრდნობიან ქართულ წყაროებში დაცულ მონაკვეთს რომელიც გამოიყურება ასე:

"ისტორიანი და აზმანის" მიხედვით: "რამეთუ ბერძენთა მეფისა მანოელისა შვილი უხუცესი იყო გაჭრითა და გახელებით, არათუმცა ანდრონიკეს, ჟამსა მის მეფობისასა და მისგან ბერძენთა ამოწყუედისასა, შეეპყრა და განეპატიჟა იგი".[14]

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: "მეტრფედ ექმნენ მრავალნი [...] კუალად თKთ ევმანოელ კეისრის ძე, არა თუმცა ანდრონიკეს მოეწყKდნა".[15]

აღნიშნულ მონაკვეთებში უდაოდ საუბარია ბიზანტიის იმპერატორ მანუელ I კომნენოსის (1143-1180) უკანონო ვაჟზე, სახელად ალექსიზე, რომელიც, ნ. ხონიატის ცნობით, დააბრმავა იმპერატორმა ანდრონიკე I კომნენოსმა (1183-1185).[16]

რაც შეეხება ალექსი ანდრონიკეს ძის კანდიდატურის მომხრეებს, ისინი ეყრდნობიან იმავე წყაროების განსხვავებულ მონაკვეთს:

---

[12] Toumanoff, *On the Relationship between the Founder of the Empire of Trebizond and the Georgian Queen Thamar,* gv. 302.
[13] Halfter, *Die Staufer und Georgien,* gv. 399.
[14] *istoriani da azmani SaravandedTani*, gv. 42.
[15] vaxuSti batoniSvili, *aRwera samefosa saqarTvelosa*, gv. 175.
[16] Niketas Choniates, *O City of Bizantium,* gv. 171.

“ისტორიანი და აზმანის” მიხედვით: “...აწუევდეს ალექსის მოყვანასა ქმრად, რომელი ახლოს სთKსობდა და მამულად მამის ძმისწული იყო ბერძენთა მეფისა”.[17]

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: “ყოველნი სამღუდელონი და დიდებულნი და მოაPსენებდიან, რათა იქორწინოს თამარ [...] ვინ იყო შესატყKსი მისი, უკეთუ ალექსი ნათესავი მანუელ კეისრისა, რომელი აქა იმყოფებოდა”.[18]

ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით: “ზოგნი ალექსის აწვევდეს მოყვარესა ქმრად, რომელიც მეზობელი მამულად ბიძას შვილი იყო ბერძენთ მეფისა, ეს მას ჟამსა აქ ყოფილიყო”.[19]

წყაროებიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის წარმოდგენის შემდეგ, ისღა დაგვრჩენია განვიხილოთ, თუ რომელ ავტორთა მიდგომა შეიძლება იყოს მართებული. გამომდინარე იქედან, რომ ბიზანტიურ წყაროებში არაფერია პირდაპირ ნათქვამი, ამ ინფორმაციებსა და სხვადასხვა კონტექსტის შესაბამის ფაქტორებს უნდა დაემყაროს ჩვენი მსჯელობაც.

ჩემი ვარაუდით, თამარის ქმრობის კანდიდატი ალექსი ანდრონიკეს ძე უნდა იყოს, რადგან ამას მრავალი გარემოება გვაფიქრებინებს:

ა. ქართულ წყაროებში არსებულ მონაკვეთებში, რომელიც ალექსი მანუელის ძეს ეხება, ნახსენებია “გაჭრითა და გახელებით”, ასევე “მეტრფედ” ყოფნა, თუმცა არსად მოიხსენიება იგი არც საქმროდ და არც ქორწინების მსურველად. ვთქვათ ეს მონაკვეთი, რომელიც ალექსის “გაჭრასა და გახელებას” ასახავს, რეალურია და არ წარმოადგენს, შუა საუკუნეების პანეგირიკული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ გაზვიადებას, ეს მონაკვეთები მაინც არ გვაწვდის საკმარისს ცნობებს იმისათვის, რომ ალექსი მანუელის ძე თამარის საქმროდ წარმოვადგინოთ, როგორც ამის მტკიცებას რ. მეტრეველი შეეცადა.[20]

ბ. ალექსი მანუელის ძის შესახებ ცნობილია, რომ იგი ჯერ კიდევ 1183 წელს დაქორწინებული იყო ანდრონიკე I-ის ქალიშვილ ირინე კომნენოსზე,[21] ასევე დიდი გავლენით სარგებლობდა იმპერატორის

---

[17] *istoriani da azmani SaravandedTani*, gv. 37.
[18] vaxuSti batoniSvili, *aRwera samefosa saqarTvelosa*, gv. 172.
[19] Ffarsadan gorgijaniZe, *saqarTvelos cxovreba*, gv. 80.
[20] mMetreveli, *mefe Tamari*, gv. 158.
[21] Jurewicz, *Andronik I Komnenos. Panstwowe Wydawnictwo Naukowe*, gv. 93.134. Brand, *Byzantium Confronts the west 1180-1204,* gv. 48. 56. 58. 67. Kazhdan, Epstein.

კარზე.[22] ერთი ვერსიით იმპერატორი თავის მემკვიდრედაც კი განიხილავდა ალექსის: "ამბობდნენ, რომ ანდრონიკემ თავის მემკვიდრედ ალექსი დაასახელა, თუმცა შემდეგ დარწმუნდა, რომ ის ტახტის ღირსი არ იყო".[23] ბიზანტიელი ისტორიკოსის ნიკიტა ხონიატის ცნობით, "ანდრონიკემ ცოტა ხანში შეიპყრო ალექსი (თავისი სიძე) და დილეგში ჩააგდო, მოგვიანებით კი თვალები დასთხარა".[24] თუ ამ ქრონოლოგიას მივიღებთ, მაშინ გაგვიჩნდება ლოგიკური კითხვა, თუ ის 1183 წელს უკვე დაქორწინებული იყო და ამ ამბიდან მალევე განიცადა მძიმე სასჯელი, როდის უნდა ეთხოვა მას თამარის ხელი?

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოებები, რომლებიც ალექსი ანდრონიკეს ძის სასარგებლოდ მეტყველებს.

ა. ზემოთ დასახელებული მონაკვეთები ქართული წყაროებიდან, რომ ნამდვილად ალექსი ანდრონიკეს ძეს მიემართება ამაზე ერთი გარემოება მეტყველებს, ზემოთ დასახელებულ სამივე მონაკვეთში საუბარია, რომ ალექსი, რომელსაც განიხილავდნენ თამარის ქმრად, საქართველოში იმყოფებოდა: "რომელი აქა იმყოფებოდა", "მას ჟამსა აქ ყოფილიყო". თამარის ეპოქის მეორე უმთავრესი წყარო, ბასილი ეზოსმოძღვრის ქრონიკა ამბობს, რომ "ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თKთ წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწილი".[25]

ბ. განსხავებით პირველი შემთხვევისაგან, ალექსი ანდრონიკეს ძესთან დაკავშირებულ მონაკვეთებში, პირდაპირაა ნახსენები სიტყვები – ქმარი და ქორწინება. მაგ: "მოყვანასა ქმრად", "აწვევდეს მოყვარესა ქმრად" და ა.შ.

გ. სამივე წყაროში დაცულ მონაკვეთს თუ დავაკვირდებით, იქ საუბარია, რომ ალექსი რომელიც განიხილებოდა თამარის საქმროდ, იყო ბიზანტიის იმპერატორის ნათესავი: "მამის ძმისწული იყო ბერძენთა მეფისა", "ბიძას შვილი იყო ბერძენთ მეფისა". საუბარი რომ ყოფილიყო ალექსი მანუელის ძეზე, მაშინ უნდა ყოფილიყო შვილი ან ძმა ბიზანტიის იმპერატორთა და არა ბიძაშვილი. ამ აზრს

Change in Byzantine Culture in the Eleventh and Twelfth Centuries. Ggv. 102. Niketas Choniates, *O City of Bizantium,* gv. 171.

[22] Kazhdan, Epstein, *Change in Byzantine Culture in the Eleventh and Twelfth Centuries.* Ggv. 102.

[23] Brand, *Byzantium Confronts the west 1180-1204,* gv. 67.

[24] Niketas Choniates, *O City of Bizantium,* gv. 171.

[25] Bbasili ezosmoZRvari, cxovreba mefed-mefisa Tamarisi, gv. 142.

ამყარებს ვახუშტი ბატონიშვილის წყაროს მონაკვეთი, რომ ალექსი იყო "ნათესავი მანუელ კეისრისა". ნათესავი და არა შვილი.

ზემოთ განხილულ ფაქტორებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ თამარის საქმროდ განიხილებოდა ალექსი ანდრონიკეს ძე კომნენოსი, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა XII საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული.[26] ზოგიერთი ვერსიით, ანდრონიკე I-ის სიკვდილის შემდეგ, (1185 წელი) ალექსიმ მეორედ შეაფარა თავი საქართველოს.[27] შესაბამისად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გარემოება სწორედ ალექსი ანდრონიკეს ძის სასარგებლოდ მეტყველებს.

გარდა თამარის ბერძენი ხელის მთხოვნელისა, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ქართულ წყაროში საუბარია სხვა ეროვნებისა და სარწმუნოების კანდიდატებზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სიცხადე არც ამ შემთხვევაში ახასიათებს ქართულ წყაროებს და მოგვიწევს მხოლოდ იმ პირებზე შევაჩეროთ ყურადღება, რომელთა შესახებაც, საუბარია არაქართულ წყაროებშიც.

"ისტორიანი და აზმანის" მიხედვით, რუმის სულტან ყილიჩ-არსლანის ვაჟი თამარზე დაქორწინების სურვილით იმდენად იყო შეპყრობილი, რომ მამამისმა ძალით დააკავა, რადგან ეშინოდა რჯული არ უარეყო და ქრისტიანად მონათლულიყო – "სულტნისა ყიზილ-არსლანის შვილთაგანი ერთი, ამბვისა სმენითა ხელ-ქმნილნი, ძალითა-სამე დაიჭირა მამამან სჯულისა დაგდებისა შიშითა".[28] ცნობილია, რომ რუმის სელჩუკთა სულტან ყილიჩ-არსლან II-ს (1155-1192) ჰყავდა 11 ვაჟი.[29] რთულია იმის დადგენა, თუ ქართული წყარო რომელ მათგანს შეიძლება გულისხმობდეს. აღმოსავლურ წყაროებში, მხოლოდ ერთგან გვხვდება მსგავსი შინაარსის, თუმცა განსხვავებული კონტექსტის ცნობები. XIII საუკუნის II-ნახევარში რუმის სულტნის კარზე მოღვაწე ისტორიკოსი იბნ-ბიბის თხზულება, რომელიც სელჯუკ-ნამეს სახელითაა ცნობილი, შეიცავს ცნობებს ქართველი დედოფლის შესახებ, რომელსაც სურდა სულთან ყილიჩ-არსლანის ვაჟზე დაქორწინება.[30] სპარსელმა ისტორიკოსმა შექმნა თამარის საკმაოდ ნეგატიური პორტრეტი. იბნ-ბიბის მიხედვით,

---

[26] Kuršanskis, *L'Empire de Trébizonde et la Géorgie,* gv. 239.
[27] Vasiliev, *The foundation of the Empire of Trebizond (1204-1222),* gv. 7.
[28] *istoriani da azmani SaravandedTani*, gv. 42.
[29] Bosworth, *The new Islamic dynasties,* gv. 352-353.
[30] Duda, *Die Seltschukengeschichte des Ibn Bibi,* gv. 33-34.

როდესაც თამარმა, გაიგო, რომ სულტან ყილიჩ-არსლანს, ყავდა 12 ვაჟი, რომელთაგანაც, თითოეული იყო "სამოთხის მთვარის სადარი და მეფობის მადლითა და ხიბლით აღვსილი",[31] მათი სიყვარულით აღივსო და თავისი გასაჭირი გაანდო მოხუც ძიძას, რომელმაც ურჩია, რომ რუმის სასულტნოში გაეგზავნა მხატვარი, რომელიც უფლისწულების პორტრეტებს დახატავდა.[32] როდესაც ეს გეგმა შესრულდა, დედოფალმა თავისი არჩევანი რუქნ ად-დინ სულეიმან-შაჰზე შეაჩერა და სულტან ყილიჩ-არსლანს მისწერა წერილი და შესთავაზა თავისი ხელი მისი ვაჟისათვის. წყაროს მიხედვით, ეს წინადადება შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა რუქნ ად-დინისათვის და მან მამას სთხოვა ჯარი მიეცა, რათა გაელაშქრა ქართველების წინააღმდეგ. ეს წადილი რუქნ ად-დინმა მხოლოდ მამის სიკვდილის შემდეგ განახორციელა, თუმცა მისი ლაშქარი ქართველებმა გაანადგურეს.[33]

ფრანგი ისტორიკოსის მ. კანარის აზრით, რომელსაც იზიარებს გ. ჯაფარიძეც,[34] იბნ-ბიბის მიერ თამარის, ვნებებით შეპყრობილ ქალად წარმოდგენა, ზოგადად ისლამური ისტორიული ტრადიციით აიხსნება, რომლის მიხედვითაც "აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი ისლამურ სამყაროში, ყველა დედოფალი, რომელსაც ჰქონდა პოლიტიკური ამბიციები და ცდილობდა დაეჩრდილა მამაკაცები, დიდი კრიტიკის ობიექტები იყვნენ".[35]

იბნ-ბიბის მიერ ნახსენები რუქნ ად-დინის წარუმატებელი ლაშქრობა, ქართველების წინააღმდეგ, უდაოდ არზრუმის კამპანიასა და ბასიანის ბრძოლას უნდა ასახავდეს.[36] ბუნებრივია, ჩაშლილი დინასტიური ქორწინება (თუ ეს იდეა რეალურად არსებობდა), XIII საუკუნის დამდეგს, რუმის სასულტნოსა და საქართველოს სამეფოს შორის დაპირისპირების მთავარი მიზეზი ვერ იქნებოდა, მაგრამ საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება. ქართულ წყაროში მოცემულია, ბასიანის ბრძოლის წინ, რუქნ ად-დინის ელჩის სიტყვები, რომლითაც

---

[31] Canard, *Les Reines de Géorgie dans l'histoire et la légende musulmanes,* gv. 7.
[32] Мелиоранский, *Сельджук-намэ, как источник для истории Византии в XII и XIII веках*, gv. 621
[33] Canard, *Les Reines de Géorgie dans l'histoire et la légende musulmanes,* gv. 7-8. Duda, *Die Seltschukengeschichte des Ibn Bibi,* gv. 34. Мелиоранский, *Сельджук-намэ, как источник для истории Византии в XII и XIII веках*, gv. 621.
[34] jafariZe. *saqarTvelo da maxlobeli islamuri samyaro*, gv. 209.
[35] Canard, *Les Reines de Géorgie dans l'histoire et la légende musulmanes,* gv. 8-9.
[36] vrclad ix. jafariZe. *saqarTvelo da maxlobeli islamuri samyaro*, gv. 140-158.

მან თამარს და დამსწრე დიდებულებს მიმართა – “უკეთუ მეფემან თქუენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად”.[37]

კიდევ უფრო მეტია ცნობილი სხვა მუსლიმი უფლისწულის შესახებ, რომელიც საქართველოს სამეფოში ჩამოვიდა და თამარის ხელი ითხოვა. “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის” მიხედვით, “სალდუხის ძის ძემან, სახელით მუტაფრადინ, აღარ დამხედმან მშობელთა არნებობისამან და დამგდებელმა მუჰამედისამან [...] სურვილითა და სმენა-სატურფოთა სახეთაგან ძლეული მოვიდა წინაშე თKთმფლობელისა”.[38] იმავე ინფორმაციას გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილის ქრონიკაც, რომ “კუალად სალდუხის ძის ძე მუტაფრიდინ, ურჩ-მყოფელი მშობელთა და დამგდები მაჰმადის სჯულის სიტკბოსი, მოვიდა მრავლისა დიდებისა მეტრფედ თამარისა”.[39] გ. ჯაფარიძის მიხედვით, იმ ეპოქაში მსგავსი სახელის მქონე პიროვნება, აღმოსავლურ წყაროებში არ გვხვდება.[40] მ. ბროსემ მას უწოდა მუზაფფარ ად-დინი.[41] ავტორიტეტული მეცნიერების კ. ბოსვორთის და კ. კაენის მიხედვით, ის გახლდათ არზრუმის მმართველი დინასტიის სალთუკიანების წარმომადგენელი. კაენის მიხედვით: “სალთუკის ვაჟის მუჰამადის შესახებ ცნობილია, რომ ურთიერთობა ჰქონდა ქართველებთან, მისი მმართველობის დასასრულს, მის ვაჟს ალ-მუზაფარ მალიქ-შაჰს სურდა საქართველოს ახალგაზრდა დედოფალ თამარზე დაქორწინება, რაც რჯულის შეცვლას ნიშნავდა”.[42] კ. ბოსვორთი სალთუკიანთა დინასტიაზე საუბრისას ამბობს, რომ “სალთუკიანების მთავარი პოლიტიკური და სამხედრო როლი იმ ეპოქაში, იყო ქართველების წინააღმდეგ ბრძოლა, რომლებიც ცდილობდნენ სამხრეთისკენ გაფართოვებას დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) პერიოდიდან. სალთუკიანები ხშირად იყვნენ შაჰ-არმენთა მოკავშირეები, თუმცა ცნობილია ერთი უცნაური მოვლენის შესახებ, მუჰამედ იბნ-სალთუკ II-ის ვაჟმა გადაწყვიტა ქრისტიანად გახდომა, რათა შეძლებოდა ქართველ დედოფალ თამარზე დაქორწინება”.[43]

---

[37] *istoriani da azmani SaravandedTani*, gv. 94.
[38] iqve, gv. 43.
[39] vaxuSti batoniSvili, *aRwera samefosa saqarTvelosa*, gv. 175.
[40] jafariZe. *saqarTvelo da maxlobeli islamuri samyaro*, gv. 118.
[41] Brosset, *Histoire de la Géorgie. Depuis L`antiquité jusqu`au XIX siècle,* gv. 418. Sen. 3.
[42] Cahen, *Pre-Ottoman Turkey*, gv. 107. Cahen, *The formation of Turkey. The Seljukid sultanate of Rūm,* gv. 35.
[43] Bosworth, *The new Islamic dynasties,* gv. 361-362.

ქართულ წყაროებში ნახსენები, სალდუხის ძის ძე – მუტაფრადინის უკან, უნდა იგულისხმებოდეს არზრუმის ამირა სალთუკ II-ის (დ. 1132) შვილიშვილი მუზაფარ ად-დინი. ეს იდენტიფიკაცია გაზიარებული ისტორიკოსთა შორის და მას იწონებენ ზემოთ დასახელებული ავტორების გარდა, ასევე გ. ჯაფარიძე,[44] ა. პიკოკი[45] და პ. ჰალფტერი.[46]

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიოგრაფიაში შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, ქართულ წყაროებში ნახსენები მუტაფრადინის ვინაობა, აღსანიშნავია ერთი გარემოება. ფარსადან გორგიჯანიძის ქრონიკაში, თამარის კარზე, მისი ხელის სათხოვნელად ჩამოსული მუდაფარადინი, წარმოჩენილია, როგორც ყიზილ-არსლანის შვილი.[47] ქრონიკის მიხედვით: "უანბო საწადელი თავისა და შესთვალა მეფე თამარს, [...] ცოლ-ქმრობა ყოვლის მადლს უკეთესია. მერმე შენ Рარ მეფის გიორგის ასული, მე ვარ დიდის ერან თურანის Рელმწიფის, ყიზილ ასლან სულთნის შვილიო. ქვეყანა ქვეყანაზედ მობმული გვაქვსო და მესამძღვრენი ვართო [...] მრავალი ქება მსმოდა თამარ მეფისაო, რომ უნახავად შემიყვარდაო [...] მეც ქრისტიანად შევიქნები და თქვენს წესზედ მოვინათვლიო".[48]

XII საუკუნეში, საქართველოს სამეფოს სიახლოვეს, ამ სახელით სულ ორი მუსლიმი მმართველია ცნობილი. პირველი გახლდათ ცნობილი ამირა ყიზილ-არსლანი, რომელიც იყო ას'არდის, ტანზას და ბაჰმუდის გამგებელი და ფლობდა ქალაქ დვინსაც.[49] იგი დავით აღმაშენებლის თანამედროვე იყო, შესაბამისად ვერ იქნება ნაგულისხმევი ზემოთ მოტანილ ცნობაში. მეორე გახლდათ, აზერბაიჯანის ტერიტორიების დიდი ნაწილის, არანის გამგებელი ათაბაგი ყიზილ-არსლანი (1186-1191). მისი ხელისუფლებაში ყოფნა, შესანიშნავად შეესაბამება ქართულ წყაროში აღწერილ პერიოდს. მის შესახებ ვიცით, რომ წარმოადგენდა არანის მმართველ ილდეგუზიანთა დინასტიას.[50] ცნობილია, რომ 1174 წელს, ის იღებდა აქტიურ მონაწილეობას ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში.[51] 1190 წელს მან მოახერხა ერაყის სელჯუკთა სულტნის ტუღრილ ბ.

---

[44] jafariZe. *saqarTvelo da maxlobeli islamuri samyaro*, gv. 81.
[45] Peacock*, Georgia and the Anatolian Turks in the 12th and 13th centuries,* gv. 130.
[46] Halfter, *Die Staufer und Georgien,* gv. 402.
[47] Ffarsadan gorgijaniZe, *saqarTvelos cxovreba*, gv. 83.
[48] iqve, gv. 83.
[49] jafariZe. *saqarTvelo da maxlobeli islamuri samyaro*, gv. 34.
[50] Bosworth, *The new Islamic dynasties,* gv. 334.
[51] *The history of the Seljuq Turks. From the Jāmi al-tawārīth an Ilkhanid adaption of the Saljūq-nāma of Żahīr al-dīn nīshāpūrī*, gv. 149.

არსლანის დატყვევება და 1191 წელს თავი გამოაცხადა სულტნად,[52] თუმცა მალევე "შაბანის თვეში 587 წელს, (1191 წლის აგვისტო-სექტემბერი) სულტანი ყიზილ-არსლანი აღმოაჩინეს მოკლული ღამის შესამოსელში და არავინ იცოდა, თუ ვინ ჩაიდინა ეს".[53] ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ქართულ ქრონიკაში სწორედ აღნიშნულ მმართველზე უნდა იყოს საუბარი. თუმცა საგულისხმოა ერთი ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ ყიზილ-არსლანის ტიტულებიც და მოღვაწეობის წლებიც ქართული წყაროში მოცემულ ინფორმაციასთან თანხვედრაშია, მას მაინც ვერ მივიღებთ სარწმუნო ცნობად, ერთი გარემოების გამო. ათაბაგს და შემდგომში სულტან ყიზილ-არსლანს შვილები არ ჰყოლია[54] და ქართველმა ისტორიკოსმაც სალთუკიანების წარმომადგენელი მუზაფარ ად-დინი, შეცდომით მიაკუთვნა აზერბაიჯანელ ილდეგუზიანებს.

მივუბრუნდეთ, ქართულ წყაროში დაცულ, ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთს: "მოყმენი, შვილნი ხელმწიფეთანი – ბერძენთა და ჰრომთანი, სულტანთა და სკKთთანი, სპარსთა და ოსთანი".[55] ჩამოთვლილთაგან რამდენიმეს იდენტიფიცირება შესაძლებელია. მაგალითად ბერძენში – ალექსი ანდრონიკეს ძე კომნენოსი უნდა იგულისხმებოდეს. სულტნის ვაჟში, რუმის სელჯუკთა მმართველის ვაჟი რუქნ ად-დინ სულეიმან შაჰი ან ზემოთ ნახსენები არზრუმის სალთუკიანთა დინასტიის წარმომადგენელი მუზაფფარ ად-დინი. რაც შეეხება სპარსს, პ. ჰალფტერი მიიჩნევს, რომ "ამ არქაული სახელწოდების (სპარსთა) უკან შესაძლოა იგულისხმებოდეს შირვანის მმართველი აღსართანი".[56] რომლის შესახებაც საუბარია ქართულ წყაროებში,[57] თუმცა აღმოსავლური წყაროები არაფერს ამბობენ ამ ფაქტის შესახებ. მით უმეტეს აღნიშნულ პერიოდში არაფერია ცნობილი შირვანის მმართველის, სახელად აღსართანის შესახებ.[58] ვინ იყვნენ შვილები ხელმწიფის – "ოსთანი", ამის შესახებ ინფორმაცია დაცულია ქართულ წყაროებში. ქართული წყაროების მიხედვით, ოსთა მეფის ორი ვაჟი ჩამოვიდა თამარის კარზე, მისი

---

[52] jafariZe. *saqarTvelo da maxlobeli islamuri samyaro*, gv. 81. Sen. 39.
[53] *The history of the Seljuq Turks. From the Jāmi al-tawārīth an Ilkhanid adaption of the Saljūq-nāma of Żahīr al-dīn nīshāpūrī*, gv. 153.
[54] Bosworth, *The new Islamic dynasties,* gv. 334-335.
[55] *istoriani da azmani SaravandedTani*, gv. 46.
[56] Halfter, *Die Staufer und Georgien,* gv. 403.
[57] *istoriani da azmani SaravandedTani*, gv. 44-45. vaxuSti batoniSvili, *aRwera samefosa saqarTvelosa*, gv. 176.
[58] Bosworth, *The new Islamic dynasties,* gv. 244.

ხელის სათხოვნელად და როდესაც ვერ აისრულეს სურვილი და უკან გაემგზავრნენ, ერთ-ერთმა მათგანმა ვერ გაუძლო მოძალებულ კაეშანს და გარდაიცვალა, დაკრძალეს ნიქოზის ტაძარში.[59] რაც შეეხება სკვითს, ამ შემთხვევაში პ. ჰალფტერი მიიჩნევს: "სკვითთა მეფის ძეში შესაძლოა ამოვიკითხოთ, თამარის პირველი ქმარი იური ბოგოლუბსკი".[60] პ. ჰალფტერი აღნიშნავს, რომ სავარაუდოდ ქართველებმა შეარქვეს მეტსახელი სკვითი, მისი ველური მახასიათებლების გამო, რაც შესაძლოა ყივჩაღებს შორის ცხოვრებისას შეიძინა.[61] რთულია დავეთანხმოთ ამ ჰიპოთეზას, რადგან იმავე ქართულ ქრონიკაში, როდესაც საუბარია იური ბოგოლუბსკიზე, მასთან მიმართებით ყოველთვის იხსენიება ეთნონიმი რუსი[62] და არასდროსაა ნახსენები სკვითი.

ქართულ წყაროში ჩამოთვლილი სხვადასხვა ეროვნების, თამარის ხელის მთხოვნელთაგან, ზოგიერთის შესახებ ინფორმაცია სხვა წყაროებშიც მოიპოვება, ზოგიერთზე თავად ქართულ წყაროებშია მცირე ინფორმაცია მოცემული. რაც შეეხება ჰრომთა მეფის ვაჟს, მის შესახებ, ზემოთ მოცემულ ჩამონათვალში ხსენების გარდა, ქართულმა წყარომ არაფერი გვითხრა.

2. გ. ჟორდანიას არგუმენტაცია შტაუფენებსა და ბაგრატიონებს შორის დინასტიური ქორწინების იდეის შესახებ;

გივი ჟორდანიამ ზემოთ დასახელებულ სტატიებში სცადა ნათელი მოეფინა აღნიშნული საკითხისათვის, თუ ვინ იგულისხმებოდა "ჰრომთა მეფის" უკან.

სტატიის პირველ ნაწილში ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქართულ წყაროში დაცულ ინფორმაციაზე, სადაც საუბარია, მეფე გიორგი III-ზე: "სძღუნობდეს და სძმობდეს მას მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალემანთანი, და ჰრომთანი, და ჰინდოთანი, და ხონელნი, და ეგრეთვე სულტანნი ხორასნისა, ბაბილოვნისა, შამისა, ეგKpტისა და იკონიისანი ჰმონებდეს, და შემდგომნი ამათნი სკKთნი, ხაზარნი, ალანნი, ხუარასანი და ხვარაზმშა, და ბერეთელნი, აბაშნი,

[59] *istoriani da azmani SaravandedTani*, gv. 37-38. vaxuSti batoniSvili, *aRwera samefosa saqarTvelosa*, gv.175. Ffarsadan gorgijaniZe, *saqarTvelos cxovreba*, gv. 80.

[60] Halfter, *Die Staufer und Georgien,* gv. 403.
[61] iqve, gv. 403. Sen. 43.
[62] *istoriani da azmani SaravandedTani*, gv. 36. 38. 40.

არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელნი".[63] გ. ჟორდანიას მიხედვით: "აქ პირველად მოხსენებულ სამ ქრისტიან მბრძანებელთაგან, პირველი ორი კარგადაა ცნობილი".[64] მისი თქმით "მეფენი ბერძენთანი" ბიზანტიის იმპერატორები არიან, ხოლო "მეფენი იერუსალიმს ალემანთანი" იერუსალიმის სამეფოს მბრძანებლები უნდა იყვნენ.[65] მცირე მსჯელობის შემდეგ, გ. ჟორდანია ამტკიცებს, რომ "მეფენი ჰრომთანის" უკან არ იგულისხმებიან, არც ძველი რომის იმპერატორები, არც ბიზანტიის იმპერატორები და არც იკონიის, ანუ რუმის სულტნები.[66] მისი თქმით: "შუა საუკუნეების ევროპაში რომაელთა მეფეების, ე. ი. რომაელთა იმპერატორების წოდებას ატარებდნენ მხოლოდ გერმანელი მბრძანებლები [...] იმ მეფეთა შორის ვინც "სძღუნობდეს და სძმობდეს" მეფე გიორგის, სხვა მბრძანებლებთან ერთად ყოფილან რომაელთა იმპერატორები ე.ი. გერმანიის მეფეები".[67] სტატიის მეორე ნაწილში ავტორი ყურადღებას ამახვილებს, ჩვენს მიერ არაერთხელ მოხმობილ მონაკვეთზე, სადაც თამარზე დაქორწინების მსურველებია ჩამოთვლილი და დაასკვნის, რომ "ჰრომთა" მეფის ვაჟის უკან, რომის საღვთო იმპერიის იმპერატორის ვაჟი ფრიდრიხ შვაბიელი უნდა იგულისხმებოდეს.[68]

თუ გავყვებით გ. ჟორდანიას მსჯელობას, მაშინ უნდა გადავხედოთ ფრიდრიხ I ბარბაროსას მოღვაწეობას და მის ვაჟებს. რამდენად იქნებოდა შესაძლებელი, რომ რომის საღვთო იმპერიის ძლიერ და გავლენიან მმართველს ჰქონოდა ქართულ სამეფო დინასტიასთან დანათესავების სურვილი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფრიდრიხ I დაინტერესებული იყო აღმოსავლური საკითხებით და გახლდათ III ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი მეთაური 1189-1190 წლებში.[69] საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით, სულაც არაა ლოგიკას მოკლებული, რომ მსგავსი იდეა ჰქონოდა ჯვაროსან მონარქს და მოკავშირე ეძებნა აღმოსავლელ ქრისტიანებს შორის. თუმცა ამ ეტაპზე ჩვენს მიზანს წარმოადგენს გავარკვიოთ, რამდენად

---

[63] iqve, gv. 22-23.
[64] Jordania, *vin iyvnen mefeni hromTani?* gv. 4.
[65] Shordania, *Über die Könige der Römer,* gv. 52.
[66] iqve, gv. 53.
[67] Jordania, *vin iyvnen mefeni hromTani?* gv. 4.
[68] Shordania, *Über die Könige der Römer,* gv. 54.
[69] vrclad ix. The crusade of Frederick Barbarossa, *The history of the expedition of the Emperor Frederick and related texts.* გვ. 33-212.

იდგა ქორწინების საკითხი შტაუფენებსა და ბაგრატიონებს შორის, როგორც ამას გ. ჟორდანია ამტკიცებს.

ჩვენთვის ცნობილია ფრიდრიხ I ბარბაროსას ოჯახური მდგომარეობის შესახებ. მან ორჯერ იქორწინა. პირველად ბავარიელ მარკგრაფ დიპოლდ ვორბურგელის ქალიშვილ ადელაიდაზე, თუმცა ამ ქორწინებიდან მას მემკვიდრე არ შეეძინა და 1153 წელს განქორწინდა.[70] მეორედ იქორწინა 1156 წლის 11 ივნისს, ბურგუნდიის ჰერცოგ რეინალის ქალიშვილ ბეატრისზე, რომლისგანაც შეეძინა მემკვიდრეები.[71] მისი ვაჟი მემკვიდრეებიდან ჩვენთვის საინტერესოა რამდენიმე მათგანი:

ჰაინრიხი (1165-1197) – ტახტის მემკვიდრე და შემდგომში იმპერატორი ჰაინრიხ VI (1191-1197) სახელითაა ცნობილი.[72] **ფრიდრიხი** (1167-1191) – შვაბიის ჰერცოგი და ევროპაში ცნობილი რაინდი, დაიღუპა მალარიის შედეგად, წმინდა მიწაზე, ქალაქ აკრასთან.[73] **ოტო** (1167/71-1200) ბურგუნდიის გრაფი, ცნობილი ოტო I-ის სახელით.[74] **კონრადი** (1172-1196) როტენბურგის, 1191 წლიდან კი შვაბიის ჰერცოგი.[75] **ფილიპი** (1177-1208) მას სხვადასხვა დროს ეკავა ვიურსბურგის ეპისკოპოსის ტახტი და ჰქონდა, სპოლეტოსა და შვაბიის ჰერცოგების ტიტული.[76]

პროფ. გ. ჟორდანია მიიჩნევს, რომ თამარის ხელის მთხოვნელი შვაბიის ჰერცოგი ფრიდრიხი უნდა ყოფილიყო. მისი ვარაუდით, შტაუფენებსა და ბაგრატიონებს შორის დანათესავების იდეა 1188 წელს, იური ბოგოლუბსკისთან განქორწინების შემდეგ უნდა დამდგარიყო დღის წესრიგში.[77] შ. ბადრიძე მიიჩნევს, რომ უფრო მეტად შესაძლებელია საქორწინო შეთავაზება თამარს პირველი ქორწინებისას მიეღო -1183 წელს, ხოლო ქმრობის კანდიდატები, უფროსი ვაჟები, ჰაინრიხი და ფრიდრიხი შეიძლება ყოფილიყვნენ.[78]

---

[70] *Monvmenta Germaniae Historica,* gv. 89.
[71] Gilbert of Mons, *Chronicle of Hainaut,* gv. 55. Sen. 245.
[72] Assmann, *Friedrich Barbarossas Kinder,* gv. 438.
[73] *The chronicle of Otto of St. Blasien 1187-1191,* gGv. 181.
[74] Mariotte, *Othon "sans terre„ comte palatin de Bourgogne et la fin des Staufen en Franche-Comté,* gv. 84.
[75] Baaken, *die altersfolge der sönhne Friedrich Barbarossas und die Königserhebung Heinrichs VI,* gv. 75.
[76] Assmann, *Friedrich Barbarossas Kinder,* gv. 439. *The chronicle of Otto of St. Blasien 1187-1191,* gGv. 55. Sen. 245.
[77] Shordania, *Über die Könige der Römer,* gv. 54.
[78] Badridse, *die Georgier und die Deutschen in Shota Rustavelis Epoche,* gv. 47. badriZe, *saqarTvelos urTierTobebi bizantiasa da dasavleT evropasTan,* gv. 148-151.

ქართველ ისტორიკოსებში, ამ ჰიპოთეზამ დიდი გასაქანი ჰპოვა და ისეთ გადამეტებულ შეფასებებსაც ვხვდებით, რომ ამ იდეის რეალიზების შემთხვევაში "ეს კავშირი გასდებდა მტკიცე ხიდს საქართველო-გერმანიას შორის, რასაც შესაძლოა მოჰყოლოდა გავლენის სფეროების გაყოფა მცირე აზიაში".[79] უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იმ მრავალფეროვან წყაროებში, რომელიც ფრიდრიხ I-ისა და მისი ვაჟების მოღვაწეობას ასახავს, არაფერია ნათქვამი, არც პირდაპირ და არც ირიბად, ბაგრატიონებსა და შტაუფენებს შორის დინასტიური ქორწინების იდეის შესახებ.[80] ამიტომ ამ საკითხზე მსჯელობისას კრიტიკულად უნდა განვიხილოთ პროფ. გ. ჟორდანიას თითოეული არგუმენტი, რასაც ემყარება ეს ჰიპოთეზა.

ა. მთავარი ვარაუდი რაზეც დანარჩენი ჰიპოთეზები აქვს აგებული გ. ჟორდანიას, გახლდათ ის, რომ მან ქართულ წყაროში ნახსენები "მეფენი ჰრომთანი" რომის საღვთო იმპერიის იმპერატორებს დაუკავშირა. მისი თქმით, "ნათელია, რომ თამარის ისტორიკოსის მიერ მოხსენიებული "მეფენი ჰრომთანი" არ შეიძლება ყოფილიყვნენ არც ძველი რომის იმპერატორები და არც ბიზანტიის იმპერატორები და არც იკონიის, ანუ რუმის სულტნები".[81] ის დაასკვნის, რომ "შუა საუკუნეების ევროპაში რომაელთა მეფეების, ე. ი. რომაელთა იმპერატორების წოდებას ატარებდნენ მხოლოდ გერმანელი მბრძანებლები".[82]

1. გ. ჟორდანია მიიჩნევს, რომ "ძნელი დასაჯერებელია თამარის ისტორიკოსს, რომლის დიდი ცოდნა და განათლება საყოველთაოდაა აღიარებული, აქ შვიდასი წლის წინ გარდასული ძველი რომის მეფეები ანუ იმპერატორები ეგულისხმა".[83] სწორედ ამიტომ მიაჩნია, რომ ამ ტერმინის უკან ისტორიკოსმა რომის საღვთო იმპერიის გერმანელი იმპერატორები იგულისხმა. რთულია მის მსჯელობას მივყვეთ ერთი გარემოების გამო. ქართულ წყაროს იმ მონაკვეთში, სადაც სახელმწიფოთა მეთაურებია ჩამოთვლილი, რომის გარდა ნახსენები არიან, კიდევ უფრო დიდი ხნის წინ "გარდასული" ხალხები და სამეფოები – სკვითები, მიდიელები, ელამიტელები, ბაბილონელები და სხვ.[84] გ. ჟორდანიას არგუმენტი, რომ აქ არ

---

[79] tuxaSvili, *Nnarkvevebi saqarTvelos diplomatiis istoriidan*, gv. 223.
[80] Halfter, *Die Staufer und Georgien,* gv. 403.
[81] Shordania, *Über die Könige der Römer,* gv. 53.
[82] Jordania, *vin iyvnen mefeni hromTani?* gv. 4.
[83] Shordania, *Über die Könige der Römer,* gv. 52.
[84] *istoriani da azmani SaravandedTani*, gv. 22-23.

შეიძლება დიდი ხნის წინ გამქრალი სახელმწიფო იგულისხმებოდეს, რთულია გასაზიარებლად. შუა საუკუნეების ქართული, ბიზანტიური, თუ ევროპული წყაროებისათვის დამახასიათებელია, ანტიკური და ბიბლიური სახელებით მოხსენიება, თანადროული სამეფოებისა და ხალხების. ქართულ წყაროში არსებული ეს კონკრეტული შემთხვევა, შუა საუკუნეების ქრონიკებისათვის დიდად დამახასიათებელი, პანეგერიკული მნიშვნელობის მატარებელია და გიორგი III-ის მმართველობისა და პიროვნების განდიდებას ემსახურება.[85]

2. შუა საუკუნეებში გერმანიის მბრძანებლები ნამდვილად მოიხსენიებოდნენ რომის იმპერატორებად, თუმცა გასათვალისწინებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება. არცთუ იშვიათად, ევროპელი პოლიტიკური, თუ რელიგიური მესვეურები გერმანიის მმართველებს რომის მეფის, თუ იმპერატორის ტიტულით არ მოიხსენიებდნენ. ყველაზე ხშირად ამას რომის პაპებთან ვხვდებით.[86] არც XII საუკუნეში და არც მომდევნო საუკუნეებში, ფრანგი, ბრიტანელი და ესპანელი მონარქები, არ აღიარებდნენ გერმანიის მმართველთა იმპერიულ ძალაუფლებას.[87] რაც შეეხება ბიზანტიურ სამყაროს, აქ კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ, გერმანიის მმართველების რომის იმპერატორებად მოხსენიებას. [88] ანა კომნენოსი მათ ალემანიის მეფეებად მოიხსენიებს.[89] მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიპეტიების აღწერისას, ფრიდრიხ I ბარბაროსა ასევე, გერმანიის მეფედაა მოხსენიებული აღმოსავლურ წყაროებშიც.[90] ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ჩნდება ეჭვი, რამდენად შეიძლებოდა ქართველ ისტორიკოსს მოეხსენიებინა, ფრიდრიხ I ბარბაროსა რომის მეფედ?

---

[85] monakveTi srulad – ~sZRunobdes da sZmobdes mas mefeni berZenTani, ierusalims alemanTani, da hromTani, da hindoTani, da xonelni, da egreTve sultanni xorasnisa, babilovnisa, Samisa, egčptisa da ikoniisani hmonebdes, da Semdgomni amaTni skčTni, xazarni, alanni, xuarasani da xvarazmSa, da bereTelni, abaSni, arabni, midni, elamitelni da Suamdinarelni~.

[86] Renna, *was Frederick Barbarossa the first Holy Roman emperor*, gv. 63. Sen. 45.

[87] Kissinger, *Diplomacy*, gv. 57.

[88] am sakiTxis SesaniSnavi ilustraciaa, epistolaruli xasiaTis wyaro. igi asaxavs mimoweras, frankTa imperators da bizantiis keisars Soris. sadac bizantiis imperatori gamoTqvams ukmayofilebas, rom frankTa mmarTvelebi, sakuTar Tavs romis imperatorebs uwodeben, xolo frankebi cdiloben bizantielTa es pretenzia istoriuli da bibliuri argumentebiT gaabaTilon. *Recueil des Historiens des Gaules et de la France. Ludovici II Imperatoris epistolae*, Ggv. 572-578.

[89] Anna Comnena, *The Alexiad,* gv. 86.

[90] *Arab historians of the crusades,* gv. 123.

რომის მეფედ გერმანიის მბრძანებლების მოხსენიება, ან რომაელებად შუა საუკუნეების ევროპელი ჯვაროსნების, უანალოგოა ქართულ წყაროებში. ტერმინი "ჰრომი" ან "ჰრომთა" შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში არცთუ ხშირად გვხვდება. რამდენიმეჯერ გამოიყენება ეს ტერმინი XI საუკუნით დათარიღებულ გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში. აღნიშნულ წყაროში ეს ტერმინი რამდენიმე მნიშვნელობის მატარებელია. რიგ შემთხვევებში ის ძველი რომაელების აღმნიშვნელად გამოიყენება, უფრო ხშირად კი დასავლელ ქრისტიანებს აღნიშნავს: "ბერძენთა და ჰრომთასა [...] რომელ ჩუენ და თქუენ მფუვანითა ვწირავთ და ზედაშესა წყალსა ურთავთ, ხოლო ჰრომნი Pმეადითა და ურწყო¡თა წირვენ [...] ხოლო ჰრომთა ვინა¡თგან ერთგზის იცნეს ღმერთი, არღარა ოდეს მიდრეკილ არიან".[91] ჩემი აზრით, "ისტორიანი და აზმანში" ნახსენები მეფე ალემანთა,[92] უფრო შეიძლება მიემართებოდეს ფრიდრიხ I ბარბაროსას, ვიდრე მეფე "ჰრომთა".

წყაროში კონკრეტული მონაკვეთი, ჩემი ვარაუდით, შეიძლება პანეგერიკული შინაარსის მატარებელი იყოს, რაც დიდადაა დამახასიათებელი აღნიშნული ეპოქის, შინაარსისა და დანიშნულების ქრონიკებისათვის. ტერმინები "ბერძენთა და ჰრომთა" უნდა ასახავდეს ქრისტიანული სამყაროს ორ ძირითად ხალხს და ორ ძირითად სივრცეს. ეს მონაკვეთი მიზნად ისახავს, თამარის განდიდებას და იმის წარმოჩენას, რომ მასზე დაქორწინების სურვილით ანთებულია, როგორც ბერძნული, ასევე რომაული ქრისტიანული სამყაროს წარმომადგენლები, ყოველგვარი კონკრეტულობის გარეშე. მთლიანი მონაკვეთი კი, თამარს ერთგვარად სამყაროს ცენტრში განათავსებს, და მასზე ორიენტირებულად წარმოაჩენს, დასავლეთით – ბერძნებსა და რომაელებს, ჩრდილოეთით – სკვითებსა და ოსებს, აღმოსავლეთით სპარსელებს, ხოლო სამხრეთით თურქებს (სულტანთა).

ბ. პროფ. გ. ჟორდანია, ყოველგვარი წყაროს დამოწმების გარეშე აცხადებს, რომ "სავარაუდოა ფრიდრიხ ბარბაროსას დესპანი, 1188 წელს სწვეოდა [...] ალბათ უნდა ეთხოვნა თამარის ხელიც ფრიდრიხ

[91] Ggiorgi mcire, *cxoreba¡ da moqalaqoba¡ gGiorgi mTawmidelisa¡,* gv. 178-179.

[92] wyaros aRniSnul monakveTze msjelobisas e. mamisTvalisvili, savsebiT logikurad aviTarebs azrs, rom `istoriani da azmanis~ avtori germanelebs termin `alamanTas~ ukan gulisxmobda. ix. mamisTvaliSvili, *saqarTvelos sagareo politika da diplomatia*, gv. 197.

შვაბელისთვის”.[93] გ. ჟორდანიას აზრს ვერ გავიზიარებთ ორი გარემოების გათვალისწინებით. 1. მისი ჰიპოთეზა მხოლოდ ზოგად მსჯელობას ეყრდნობა და არა წყაროებს. 2. ცნობილია, რომ ფრიდრიხ შვაბიელი 1181 წლიდან მოყოლებული დანიშნული იყო დანიის მეფის, ვალდემარ I-ის (1154-1182) ქალიშვილზე,[94] ხოლო 1188-1189 წლებში წყაროებში ფრიდრიხის საცოლედ მოიხსენიება უნგრეთის მეფე ბელა III-ის (1172-1196) ქალიშვილი კონსტანსია.[95] აქვე, ერთგვარ უცნაურობად გვეჩვენება პროფ. გ. ჟორდანიას აზრი, თუ რატომ თქვა უარი ქართულმა მხარემ შემოთავაზებაზე – “რაც შეეხება წინადადებას, ფრიდრიხ შვაბელის თამარზე დაქორწინების შესახებ, საქართველოს მთავრობა ცხადია ამაზე უარს განაცხადებდა. აქ უკვე გამოცდილი ჰქონდათ [...] ქმრობა უცხოელი უფლისწულისა, რომელიც თამარის მიმართ მტრულად და რეაქციულად განწყობილ ქართულ დიდკაცობას მიემხრო. რა გარანტია ჰქონდათ, რომ რომის კათოლიკე გერმანელ უფლისწულსაც საქართველოს მეფობისათვის შეუფერებელი საქმე არ ჩაედინა?”.[96]

გ. პროფ. გ. ჟორდანია, როდესაც ქართველებისა და შტაუფენების მოკავშირეობაზე საუბრობს, რითიც ამყარებს თავის ჰიპოთეზას. ახსენებს ერთ ფაქტს, რომელიც კარგადაა ცნობილი, ევროპული და ქართული ისტორიული საზოგადოებებისათვის. ლაშქრობის მონაწილე ავსტრიელი ავტორის, ანსბერტის მიხედვით, ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიმავალი იმპერატორი ფრიდრიხი, ბალკანეთის ტერიტორიაზე იპყრობს ქალაქ ფილიპოპოლისს, ხოლო მის მახლობლად არსებული პეტრიწონის მონასტრის იბერიელ წინამძღოლს პატივით მიიღებს და მეგობრულად ესაუბრება.[97] ეს

---

[93] Shordania, *Über die Könige der Römer,* gv. 54. Jordania, *vin iyvnen mefeni hromTani?* gv. 4.

[94] Weller*, Die Heiratspolitik des Deutschen Hochadels im 12 Jahrhundert,* gv. 131. Halfter, *Die Staufer und Georgien,* gv. 405.

[95] Halfter, *Die Staufer und Georgien,* gv. 405. Weller*, Die Heiratspolitik des Deutschen Hochadels im 12 Jahrhundert,* gv. 135-136.

[96] Shordania, *Über die Könige der Römer,* gv. 54. Jordania, *vin iyvnen mefeni hromTani?* gv. 4.

[97] Chroust, *Historia de expeditione Frederici Imperatoris et quidam alii rerum gestarum fonteseiusdem expeditionis*, gv. 45. The crusade of Frederick Barbarossa, *The history of the expedition of the Emperor Frederick and related texts.* გვ. 74. Halfter, *Georgien und die Georgier in den abendländischen Geschichtsquellen des hohen Mittelalters,* gv. 381-383. Freed, *Frederick Barbarossa. The prince and the Myth*, gv. 495. Halfter, *Die Staufer und Georgien,* gv. 411-415. Shordania, *Über die Könige der Römer,* gv. 54.

ცნობა, ბევრს აფიქრებინებს, რომ ბიზანტიელებისა და ბულგარელებისაგან განსხვავებით, ფრიდრიხ I ბარბაროსას დადებითი დამოკიდებულება და განწყობა უნდა ჰქონოდა ქართველების მიმართ.[98] თუმცა ეს ფაქტი, ძალზე სუსტი არგუმენტია, რომ შტაუფენებსა და ქართველებს შორის მოკავშირეობა გადაჭრით ვამტკიცოთ, მიუხედავად იმისა, რომ საგარეო-პოლიტიკური ვითარება ამის სასარგებლოდ მეტყველებს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ გივი ჟორდანიას ჰიპოთეზა, რომ რომის საღვთო იმპერიის მმართველს ფრიდრიხ I ბარბაროსას, სურდა თავისი ვაჟის, ფრიდრიხ შვაბიელის თამარზე დაქორწინება 1188 წელს, ზემოთ დასახელებული გარემოების გამო უნდა გადაიხედოს. მხოლოდ ქართულ წყაროში ნახსენები ორი ბუნდოვანი მინიშნება და გ. ჟორდანიას სუსტი არგუმენტაცია, საკმარისი არ გახლავთ, იმის სამტკიცებლად, რომ XII საუკუნის 80-იან წლებში, რომის საღვთო იმპერიის ჯვაროსან მმართველს, ქართულ სამეფო დინასტიასთან საქორწინო კავშირის გაბმა სურდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ბადრიძე, ***საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან*** – ბადრიძე შ., *საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან (X-XIII სს.),* თბილისი, 1984.

ბასილი ეზოსმოძღვარი, ***ცხოვრება მეფედ-მეფისა თამარისი*** **–** ბასილი ეზოსმოძღვარი, *ცხოვრება მეფედ-მეფისა თამარისი*, "ქართლის ცხოვრება@", ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959, გვ. 115-151.

გიორგი მცირე, ***ცხორება; და მოქალაქობა; გGიორგი მთაწმიდელისა;*** – გიორგი მცირე, *ცხორება; და მოქალაქობა; წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა;* "ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები", წიგნი II (XI-XV სს), ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1967.

[98] Halfter, *Georgien und die Georgier in den abendländischen Geschichtsquellen des hohen Mittelalters,* gv. 381-383. Halfter, *Die Staufer und Georgien,* gv. 411-415. TinikaSvili, qarTvelebisa da dasavleT evropelTa religiur-politikuri urTierToba, gv. 101-102.

გორგიჯანიძე, *საქართველოს ცხოვრება* – გორგიჯანიძე ფ., *საქართველოს ცხოვრება,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბილისი, 2022.

ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა* – ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსი,* "ქართლის ცხოვრება@", ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ. 39-288.

თინიკაშვილი, ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა – თინიკაშვილი დ., *ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა XI-XIII საუკუნეებში,* ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015.

ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი – *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი,* "ქართლის ცხოვრება@", ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959, გვ. 1-114.

მამისთვალიშვილი, *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია* – მამისთვალიშვილი ე., *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია,* ტომი IV (საქართველო და ჯვაროსნები), თბილისი, 2014.

მეტრეველი, *მეფე თამარი* – მეტრეველი რ., *მეფე თამარი. ეპოქის პოლიტიკურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა,* თბილისი, 1991.

ჟორდანია, *ვინ იყვნენ მეფენი ჰრომთანი?* – ჟორდანია გ., *ვინ იყვნენ მეფენი ჰრომთანი?* გაზ. „ლიტერატურული საქართველო", #24, 1976 წლის 11 ივნისი, გვ. 4.

ტუხაშვილი, *ნარკვევები საქართველოს დიპლომატიის ისტორიიდან* – ტუხაშვილი ლ., *ნარკვევები საქართველოს დიპლომატიის ისტორიიდან,* წ. 1 (ბაგრატ III-დან Gგიორგი V ბრწყინვალემდე), თბილისი, 1994.

ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი ისლამური სამყარო* – ჯაფარიძე გ., *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII-ს. პირველ მესამედში,* თბილისი, 1995.

Anna Comnena, *The Alexiad* – Anna Comnena, *The Alexiad*, Trans. By Elizabeth A. S. Dawes, Ontario, 2000.

Arab historians of the crusades – *Arab historians of the crusades*, Selected and Translated from the Arabic Sources, Francesco Gabrieli, London, 1969.

Assmann, ***Friedrich Barbarossas Kinder*** – Assmann E., *Friedrich Barbarossas Kinder*, "Deutsches Archiv für Erforschung des Mittelalters", B. 33, Köln, 1977, ȝ. 435-472.

Baaken, ***die altersfolge der sönhne Friedrich Barbarossas und die Königserhebung Heinrichs VI*** – Baaken G., *Die altersfolge der sönhne Friedrich Barbarossas und die Königserhebung Heinrichs VI*, "Deutsches Archiv für Erforschung des Mittelalters", B. 24, Köln, 1968, ȝ. 46-78.

Badridse, ***die Georgier und die Deutschen in Shota Rustavelis Epoche*** – Badridse Sch., *Die Georgier und die Deutschen in Shota Rustavelis Epoche*, "Georgica" Vol. 6. Jena-Tbilissi, 1983.

Bosworth, ***The new Islamic dynasties*** – Bosworth C., E., *The new Islamic dynasties A chronological and genealogical manual*, Edinburgh, 1996.

Brand, ***Byzantium Confronts the west 1180-1204, –*** Brand Ch., *Byzantium Confronts the west 1180-1204*, HUP, Massachusetts, 1968.

Brosset, ***Histoire de la Géorgie. Depuis L`antiquité jusqu`au XIX siècle*** – Brosset M., *Histoire de la Géorgie. Depuis L`antiquité jusqu`au XIX siècle. 1 partie. Histoire Ancienne, Jusqu`en 1469*, S. Peterbourg, 1849.

Canard, ***Les Reines de Géorgie dans l'histoire et la légende musulmanes*** – Canard M., *Les Reines de Géorgie dans l'histoire et la légende musulmanes,* "Revue des Etudes Islamiques", XVIII, Variorum, 1973, ȝ. 3-20.

Cahen, ***Pre-Ottoman Turkey*** – Cahen C., *Pre-Ottoman Turkey. A general survey of the material and spiritual culture and history 1071-1330*, Translated by J. Jones-Williams, New York, 1968.

Cahen, ***The formation of Turkey. The Seljukid sultanate of Rūm*** – Cahen C., *The formation of Turkey. The Seljukid sultanate of Rūm; Eleventh and to fourteenth century*, Translated by P. M. Holt, Edinburg, 2001.

Chroust, ***Historia de expeditione Frederici Imperatoris et quidam alii rerum gestarum fonteseiusdem expeditionis –*** Chroust A., *Historia de expeditione Frederici Imperatoris et quidam alii rerum gestarum fonteseiusdem expeditionis*, "Monumenta Germaniae Historica", Vol. 5, 1965.

Duda, ***Die Seltschukengeschichte des Ibn Bibi*** – Duda H., W., *Die Seltschukengeschichte des Ibn Bibi*, Munskgaard, Kopenhagen, 1959.

Freed, ***Frederick Barbarossa. The prince and the Myth*** – Freed J. B., Frederick Barbarossa. *The prince and the Myth,* YUP, 2016.

Gilbert of Mons, *Chronicle of Hainaut* – Gilbert of Mons, *Chronicle of Hainaut*, Trans. By L., Napran, B.P., 2005.

Halfter, *Die Staufer und Georgien* – Halfter P., *Die Staufer und Georgien,* "Le Muséon, Revue d'études orientales", Vol. 123, 2010, ȝȝ. 387-423.

Halfter, *Georgien und die Georgier in den abendländischen Geschichtsquellen des hohen Mittelalters* – Halfter P., *Georgien und die Georgier in den abendländischen Geschichtsquellen des hohen Mittelalters*, "Le Muséon Revue d'études orientales", Vol. 125, 2012, ȝȝ. 367-419.

Halfter, *Von den Kreuzfahrerstaaten in das Königreich Georgien* – Halfter P., *Von den Kreuzfahrerstaaten in das Königreich Georgien,* "Le Muséon, Revue d'études orientales", Vol. 121, 2008, ȝȝ. 403-436

Jurewicz, *Andronik I Komnenos. Panstwowe Wydawnictwo Naukowe* – Jurewicz O., *Andronik I Komnenos. Panstwowe Wydawnictwo Naukowe*, 1962

Kazhdan, Epstein. *Change in Byzantine Culture in the Eleventh and Twelfth Centuries. –* Kazhdan A., and Epstein A., *Change in Byzantine Culture in the Eleventh and Twelfth Centuries*, UCP, Los Angeles, 1985.

Kissinger, *Diplomacy* – Kissinger H. A., *Diplomacy.* New York, 1994.

Kuršanskis, *L'Empire de Trébizonde et la Géorgie* – Kuršanskis M., *L'Empire de Trébizonde et la Géorgie*, "Revue des études byzantines", Tome 35, 1977, ȝȝ. 237-256.

Mariotte, *Othon "sans terre„ comte palatin de Bourgogne et la fin des Staufen en Franche-Comté* – Mariotte J., *Othon sans terre comte palatin de Bourgogne et la fin des Staufen en Franche-Comté*, "Francia, Forshungen zur westeuropäischen geschichte" Band 14, 1986, ȝȝ. 83-102.

Monvmenta Germaniae Historica – *Monvmenta Germaniae Historica*, Ed. Georgivs Heinricvs Pertz, Tomvs XVI, Hannoverae, 1858.

Niketas Choniates, *O City of Bizantium, –* *O City of Bizantium,* annals of Niketas Choniates, Trans. by Harry J. Magoulias, Detroit, 1984.

Peacock*, Georgia and the Anatolian Turks in the 12th and 13th centuries* – Peacock A., *Georgia and the Anatolian Turks in the 12th and 13th centuries*, "Anatolian studies", Vol. 56, 2006, ȝȝ. 127-146.

Recueil des Historiens des Gaules et de la France. Ludovici II Imperatoris epistolae – *Recueil des Historiens des Gaules et de la France. Ludovici II Imperatoris epistolae*, Par. Martin Bouquet, Tomus VII, Paris, 1870, ȝȝ. 572-578.

Renna, ***was Frederick Barbarossa the first Holy Roman emperor?*** – Renna Th., *was Frederick Barbarossa the first Holy Roman emperor?* "Quidditas", Vol. 35, 2014, ‰. 49-82.

Shordania, ***Über die Könige der Römer***, – Shordania G., *Über die Könige der Römer. die in der georgischen Geschichtssreibung erwähnt sind*, ~Georgica~, 1980, Jena, Tbilissi, ‰. 51-55.

The chronicle of Otto of St. Blasien 1187-1191 – *The chronicle of Otto of St. Blasien 1187-1191*, "The crusade of Frederick Barbarossa. The history of the expedition of the Emperor Frederick and related texts", Trans. By G. A. Loud, "Crusade Texts in Translation" N. 19, 2010, ‰. 173-191.

The crusade of Frederick Barbarossa, ***The history of the expedition of the Emperor Frederick and related texts*** – *The crusade of Frederick Barbarossa. The history of the expedition of the Emperor Frederick and related texts*, Trans. By G. A. Loud, "Crusade Texts in Translation" N. 19, 2010.

The history of the Seljuq Turks. From the Jāmi al-tawārīth an Ilkhanid adaption of the Saljūq-nāma of Żahīr al-dīn nīshāpūrī – *The history of the Seljuq Turks. From the Jāmi al-tawārīth an Ilkhanid adaption of the Saljūq-nāma of Żahīr al-dīn nīshāpūrī,* Translated, by K. A. Luther, by E. Bosworth, London, 2001.

Toumanoff, ***On the Relationship between the Founder of the Empire of Trebizond and the Georgian Queen Thamar, –*** Toumanoff C., *On the Relationship between the Founder of the Empire of Trebizond and the Georgian Queen Thamar.* "Speculum*",* 1940, Vol. 15, No. 3, July, ‰. 299-312.

Vasiliev, ***The foundation of the Empire of Trebizond (1204-1222)*** – Vasiliev A., *The foundation of the Empire of Trebizond (1204-1222),* "Speculum. The journal of medieval studies" 1936, Vol. 16, N.1, January, ‰. 3-37.

Watkins, ***Marriage Diplomacy*** – Watkins J., *Marriage diplomacy,* "The Encyclopedia of Diplomacy" Vol. 3, Ed. By Gordon Martel, 2018, ‰. 1-7.

Weller***, Die Heiratspolitik des Deutschen Hochadels im 12 Jahrhundert*** – Weller T., *Die Heiratspolitik des Deutschen Hochadels im 12 Jahrhundert,* Köln, 2004.

Мелиоранский, ***Сельджук-намэ, как источник для истории Византии в XII и XIII веках*** – Мелиоранский П., М., *Сельджук-намэ, как источник для истории Византии в XII и XIII веках*, "Византийский Временник", Т. I, 1892. G‰. 613-640.